დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციების შესაბამისად მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა განცხადებების მიღება და მოქალაქეთა მომსახურება. 2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიაში edokument და msda – პროგრამაში (6971) და ასევე mms (1782) პროგრამის მეშვეობით **შემოსულია** სულ 8753 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი ეხება მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, მშენებლობა - ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილების - რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრიებას, მიწის ფართის იდენტურობის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა.

მუნიციპალიტეტიდან **გასული** დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს 6309; გამოცემული **სამართლებრივი აქტების** რაოდენობა შეადგენს 3220. მომზადდა სამივლინებო მოწმობები. (სულ 262 სამივლინებო მოწმობაა გაცემული), შიდა დოკუმენტით შექმნილია 4516.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახურს დაგეგმილი აქვს თანამშრომელთა კვალიფიკაცის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტრენინგ მომსახურების შესყიდვა.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე შემოსული დოკუმენტების რაოდენობა 41, აქედან 39 მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაცემულია პასუხი, ხოლო 2 მოთხოვნაზე ეთქვათ უარი.

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების აღიარების კომისიაში შემოსული და გასული კოროესპოდენციის რაოდენობამ შეადგინა - 139, განკარგულება 31.

ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიაში შემოსული და გასული კოორესპოდენციის რაოდენობამ შეადგინა 55, განკარგულება 13.

ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტების რაოდენობაა 1311

ადმინისტრაციული სამსახურის (კანცელარიის) მიერ აღნიშნულ პერიოდში გატარებული იქნა სხვადასხვა სახის კორესპოდენცია, სულ - 25,268 დოკუმენტი

- 2021 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა წლის დასაწყისში შეადგენდა - 104; ხოლო 2021 წლის დეკემბრის ბოლოს - 103.
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა როგორც წლის დასაწყისში შეადგენდა -11, ხოლო წლის ბოლოს შეადგენდა - 12.
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორჯერ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) გამოცხადდა კონკურსი 5 თანამდებობაზე. აქედან, 5-ვე წარმატებით დასრულებული,

ადმინისტრაციულ სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობას ორი თანამშრომელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდის dmanisi.gov.ge ადმინისტრირებას.

2021 წლის პირველი იანვრიდან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა ინფორმაციის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შესაბამისი

სამსახურებიდან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, დამუშავებული მასალის, სიახლეების სახით გავრცელება დმანისის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის www.dmanisi.gov.ge, ფეისბუქის, „ქალთა ოთახის“ ფეისბუქის, ასევე მერის ფეისბუქის გვერდების საშუალებით. ინფორმაცია ასევე „ივენთის“ ანონსდებოდა ფეისბუქის საშუალებით და დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარის სახით მიწოდება სამხარეო ადმინისტრაციაში პიარის სამსახურისათვის. (ყოველდღიურად და ყოველკვირეულად). მათგან ვიღებდით რეკომენდაციას სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ახალი კორონა ვირუსის პრევენციის კუთხით და დასაგეგმი აქტივობების შესახებ, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისა და ფეისბუქ ბანერებისა და ვიდეორგოლების განთავსების შესახებ. ასევე, ავტომატურ რეჟიმში ხდებოდა ტენდერებისა და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების სხდომის ოქმების განთავსება. პარარელურ რეჟიმში ვთანამშრომლობდით და ვახდენდი პრესრელიზების გადაგზავნას მერიის მიერ გამოწერილ სააგენტოებთან შპს „თავისუფალი გაზეთი“ + თან (საინფორმაციო სააგენტო აიპრესი). სააგენტო წარმოადგენს imedia ჯგუფს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საინფორმაციო პორტალს: ipress.ge, ibusiness.ge, iregions.ge, imtavroba.ge, mpess.ge. რეგიონულ პორტალებს kvira.ge, ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ ქვეყნდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პორტალზე. ქალთა ოთახი ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის გამო, არ გამოირჩეოდა აქტივობებითა და სამუშაო შეხვედრებით. მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ არ განხორციელებულა არანაირი აქტივობა. ინფორმაცია 2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ვებ საიტზე www.dmanisi.gov.ge სიახლეების ველში სულ განთავსდა 98 სიახლე. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი 10. სამართლებრივი აქტი 18. ვებ საიტზე მოხდა პროგრამული ცვლილებები, ასევე საკრებულოს ნაწილში განახლდა შემდეგი ინფორმაცია:

1.საკრებულოს თავმჯდომარის შესახებ

3.საკრებულოს წევრების შესახებ

3.საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების შესახებ

4.საკრებულოს კომისიების შესახებ

5.საკრებულოს აპარატის შესახებ

6.საკრებულოს ბიუროს ველი

7.შესაცვლეია ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების (ახალი წევრები ჯერ

არ არჩეულა).

სამსახურის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე. სტატუსის მინიჭების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის განმავლობაში სულ დარეგისტრირდა 530 განცხადება, აქედან:

- დადებითად დასრულდა 516.
- უარყოფითად დასრულდა 0.
- განუხილველად იქნა დატოვებული 0 .
- მიმდინარე 8 .
- რეესტრის საფუძველზე შეწყვეტილი 306 .
- მონიტორინგის შედეგად გადამოწმდა 103 (ფიზ.პირი).
- მონიტორინგის შედეგად შეწყვეტილი 7 .
- შეჩერებული 0 .
- აღდგენილია 0 .

2016 წლიდან დღემდე:

- სულ პირველადი რეგისტრაციით მინიჭებული აქვს 6492 ადმიანს.
- სულ განხილვის შედეგად მიენიჭა 7688
- სულ ამჟამად მოქმედი სტატუსით სარგებლობს 12361
- სულ ამჟამად შეწყვეტილი (მონიტორინგი,რეესტრი) 1719 (აქედან ერთი მოქალაქის ინიციატივით)
- სულ შეჩერებული 64 (რეესტრი 53, მონიტორინგი 11)
- აღდგენილი 8.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2021 წლის ანგარიში

ადმინისტრაციულ სამსახურში 2018 წლიდან შექმნილია იურიდიული განყოფილება, რომელიც ინტენსიურად ახორციელებს ძირითადად შესყიდვების განყოფილებიდან და ქონების განყოფილებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივ ანალიზს. ასევე უზრუნველყოფს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვას სამივე ინსტანციის სასამართლოში.

1. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწით თვითნებურად დაკავების/სარგებლობის ფაქტებთან დაკავშირებით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები გადაგზავნილი იქნა სასამართლოში განსახილველად, ხოლო შემდგომა აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების სასამართლო განხილვის პროცესში ოქმების მხარდაჭერის მიზნით სასამართლო სხდომებზე უზრუნველყოფილი იქნა იურიდიული განყოფილების იურისტის მონაწილეობა.

2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოში გაგზავნილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები, სულ -9 საქმე, აქედან - 6 საქმზე დაკმაყოფილებული იქნა სასამართლოს მიერ და თითოეულ ადმინისტრაციულ სამართალდამდღვევს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრათ 1000 ლარის გადახდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ, ხოლო 3 საქმეზე სამართალდამრღვევებს გამოეცხადათ სიტყვიერი შენიშვნა.

2. ადმინისტრაციული საქმეები - 8 ერთეული, 4 ერთეული ამჟამად სასამართლოს წარმოებაში აქვს, 2 საქმე დასრულდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ, ხოლო 2 ერთეულზე შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების საფუძველზე.

3. სამოქალაქო საქმეები - სულ 16. აქედან - 7 საქმე განხილვაშია (მათ შორის 1 საქმე საკასაციო სასამართლოშია), 4 საქმეზე სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო ერთზე ნაწილობივ დააკმაყოფილა. 5 ერთეული საქმე სასამართლოს წარმოებაშია. განსახილველი საქმეებიდან 11 ერთეულზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილია მოსარჩელის სახით ხოლო 5 ერთეულზე წარმოდგენილია - მოპასუხედ.

4. აღსრულების ეროვნული ბიუროში იძულებით აღსასრულებლად გადაგზავნილია - 1 საქმე.

ადმინისტრაციული სამსახურის იურისტების მიერ მომზადდა ნორმატიული აქტის (საკრებულოს დადგენილების) პროექტები.

ადმინისტრაციული სამსახური საანგარიში წლის განმავლობაში ახორციელებდა მერის, მერის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას; უწევდა კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის თანამშრომელებს და მოქალაქეებს.

ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეშვეობით, გამარტივებულია მოსახლეობიდან ინფორმაციის მიღება და მათთვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურა, აღნიშნული ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში და გადაუდებელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ინფორმაციის მიღება და გადამისამართება შესაბამის უწყებებთან (მერის შესაბამისი სამსახურები, გუბერნატორის ადმინისტრაცია თუ სხვადასხვა სამინისტროებში). მერის ყველა წარმომადგენელი (გარდა ადმინისტრაციული ქალაქ დმანისის ადმინისტრაციული ერთეულისა) არის ჩართული 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებში. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ,,მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხორციელდება მერის წარმომადგენლბისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის გადაგზავნა და კონსულტაციების გაწევა, ასევე მერის წარმომადგნელების მიერ ხორციელდება გარდაცვლილი პირების რეგისტრაციის მიზნით ოქმების შედგენა.

შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ყოველდღიური ინფორმაციის მიღება საერთო მდგომარეობის შესახებ.

მოსახლეობის კეთილდღეობისთვის განსაზღვრული ინფორმაციების მიწოდება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს/სპეციალისტებს, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

მერის წარმომადგენლების სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში სხვადასხვა სახის რეკომენდაცია/კონსულტაციები.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მოსახლეობის შორის წარმოქმნილი დავებისა და სხვა პრობლემატური საკითხების განხილვაში მონაწილეობა.

ელექტრონული საქმის წარმოების საშუალებით განყოფილება დაეწერა, 2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით სულ 1272 (დავალება) წერილი, აქედან 1272 დავალებაზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული მერის ბრძანებით შექმნლი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში:

1. “მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვილის მიზნით გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირები განსაზღვრის შესახებ“;
2. „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“;
3. „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ”;
4. ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“;
5. „სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ”;
6. “პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ”;
7. დმანისის მუნიციპალიტეტის საინვენტარიზაციო კომისია;
8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია;

და სხვა.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მიერ
2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

1. აუქციონის წესით იჯარით გაიცა 76 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა - 224 184 (ორასოცდაოთხიათაასოთხმოცდაოთხი) ლარი, ხოლო საგარანტიო/ბე თანხა შეადგენს 132 022,7 ლარს, რომელიც მოიჯარეს ეთვლება 2025 წლის იჯარის გადასახადში.

2. პირდაპირი განკარგვის წესით გაიცა - 5 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა 5 352,72 (ხუთიათასსამასორმოცდათორმეტი და 72 თეთრი) ლარი.

3. დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2021 წელს შევიდა 39 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 8 განცხადება, უარი ეთქვა 26 - განცხადებას, ხოლო 5 განაცხადი დაბრუნდა უკან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

4. მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 42 ერთეული უძრავი ქონება.

5. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და ქალაქ რუთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქონების სააგენტოს მიერ აუქციონზე იჯარა/პრივატიზების მიზნით მუნიციპალიტეტს მომართა 54 წერილით. მუნიციპალიტეტმა 18 შემთხვევაში გასცა თანხმობა უძრავი ქონების იჯარა/პრივატიზებაზე, ხოლო 36 შემთხვევაში უარი.

6. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან დამატებითი ქონების სახით გადმოცემის მიზნით მოთხოვნილია 20 უძრავი ქონება.

7. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ქონების ინვენტარიზაცია და ასოციაციის მიერ შექმნილი ქონების მართვის პროგრამაში (eproperty.ge) ასახვა.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2021 კალენდარული წლის პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N39 და 2021 წლის 26 ივლისის N375 დადგენილებების თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა 29 წვევამდელი, მ.შ.: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში – 20;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში - 0;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 7;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ვადიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა - 2;

,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად გადავადება მიეცა 313 წვევამდელს, მ.შ.:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო - 15;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - 49;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე - 14;

სწავლობს სასულიერო სასწავლებელში-7;

ჰყავს ერთი შვილი - შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით - 10;

ჰყავს ორი ან მეტი შვილი-6;

არის დედის ერთა-1;

მუშაობს სოფელში მასწავლებლად - 4;

გადაიხადა სამხედრო სავალებულო სამსახურში გაწვევისაგან საქართველოს კანონით დადგენილი გადავადების მოსაკრებელი 2000 ლარი - 0.

დამატებით სამედიცინო გამოკვლევაზე გაიგზავნა 2 წვევამდელი;

საქართველოს შეიარაღებულ ძალების საკონტრაქტო სამსახურში გასაწვევად შერჩეული 5 კანდიდატის ორ ეგზემპლარად შექმნილი პირადი საქმეები გადაიგზავნა საქართველოს შეიარაღებულ ძალების გენერალურ შტაბში.

სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი და საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩარიცხული იქნა 127 მოქალაქე, მ.შ.:

საქართველოს კანონის ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ “37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად-39 მოქალაქე (სამხედრო სავალდებულო სამსახურგავლილი);

21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - 88 მოქალაქე (27 წლის ასაკს მიღწეული);

საერთო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 26, მ.შ.:

რეგისტრაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით - 4;

გადაყვანილ იქნა სპეციალურ აღრიცხვაზე 7 მოქალაქე.

,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -13 და მე - 14 მუხლების შესაბამისად პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 163 მოქალაქე, მ.შ.:

2004 წელს დაბადებული ჭაბუკები - 161 და 2 უფროსი ასაკის ის მოქალაქეები, რომლებიც ადრე სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნენ აყვანილნი სამხედრო აღრიცხვაზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაცემული იქნა 56 რეზერვისტის დროებითი მოწმობა, 49 წვევამდელის სამხედრო - სააღრიცხვო მოწმობა და 6 ცნობა სამხედრო ნამსახურობის შესახებ.

შესრულებული იქნა 302 სხვადასხვა სახის განცხადება და შემოსული კორესპონდენცია.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

1) 2021 წელს ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოწერილ იქნა 4 მითითების აქტი, სამშენებლო და ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ, ამის შემდგომ 4 შემოწმების აქტი სადაც დაფიქსირდა, რომ ოთხივე მითითება არ შესრულდა, შედეგად:

აზად ტალიბოვი პ/ნ 15001004965 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.07.47.061),

ზათიბ ხიდიროვი – პირადი ნომერი: 15001002241 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.14.42.335),

მუბარის კურბანოვი - პირადი ნომერი: 15001005335 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.13.43.629),

ბადრი ბეჟანიშვილი – პირადი ნომერი: 10001044522 (მიწის ნაკვეთზე ს/კ82.07.43.181).

ამით მათ დაარღვიეს საქართველოს სივრცით დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 130 მუხლის 1 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი და თითოეული მათგანი დაჯარიმებული იქნა 1000 (ათას) – 1000 (ათასი) ლარით, ჯამში 4000 (ოთხიათასი) ლარით.

ბადრი ბეჟანიშვილი – პირადი ნომერი: 10001044522 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.07.43.181) დროულად გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო აზად ტალიბოვი პ/ნ 15001004965 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.07.47.061), ზათიბ ხიდიროვი – პირადი ნომერი: 15001002241 (მიწის ნაკვეთზე ს/კ82.14.42.335), მუბარის კურბანოვი - პირადი ნომერი: 15001005335 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.13.43.629), სამივე მათგანს დაეკისრათ საურავი თითოეულს 1000-1000 ლარის ოდენობით ჯამში სამივე მათგანის საურავი შეადგენს 3000 ლარს. (ჯარიმა 3000ლ) + (საურავი 3000ლ) ამდროისთვის აღნიშნული ჯარიმა გადაუხდელია და გადაეგზავნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის.

2021 წლის დეკემბერში ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა 2 (ორი) უნებართვო მშენებლობის ფაქტი, სოფ.დიდი დმანისი ლევანი მუსხელიშვილი პ/ნ 15001021953 ს/კ 821244295 და ქ. დმანისი ზაზა მენაბდიშვილი პ/ნ 10001007530 ს/კ 820144449 რაზეც მოხდა რიაგირება და შედგენილია 2 (ორი) მითითების აქტი და ერთი შემოწმების აქტი, დოკუმენტაციის წარმოსადგენად განესაზღვრათ გონივრული ვადები.

2) 2021 წელს ზედამხედველობის სამსახურის მიერ ექსპლოატაციაში იქნა მიღებული 1 (ერთი) შ.პ.ს,, საზოგადოებრივი კოლეჯი შვეიცარიული აგრალური სკოლა კავკასიას". მიერ დასრულებული მშენებლობა.

3) 2021 წელს ზედამხედველობის სამსახურმა საზაფხულო საძოვრებზე უკანონო სარგებლობაში მქონე 6 (ექვსი) პირი გამოავლინა: კაზანფარ კურბანოვი (პ/ნ 36001033499) (დაბ.25.05.1987.წ.) (კორდინატით - 418259 – 4561660 - ოქმი N000132,

ტურან ჩერპანოვი (პ/ნ15001022079) (დაბ.31.03.1989.წ.) (კორდინატით-426482-4562159) - ოქმიN000131,

ელშად კურბანოვი (პ/ნ 15001021276) (დაბ.19.02.1970.წ.) (კორდინატით-417685-4584837)- ოქმი N000178,

რამიზ ნასიბოვი (პ/ნ 15001000410) (დაბ.01.11.1969წ.)-ოქმიN000179,

მამედ ნასიბოვი (პ/ნ 15001020925) (დაბ.16.11.2002წ.)-ოქმი N000180,

ელფაგ მეხტიევი (პ/ნ 10001009344) (დაბ.1979/23/08) (ს.კ82.17.41.071)

ხუთ მათგანზე სასამართლომ დააკისრა 1000-1000 (ათას-ათას) ლარი ჯარიმა, ჯამში ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 5000 ლარი, რაც შეეხება ელფაგ მეხტიევი (პ/ნ 10001009344) (დაბ.1979/23/08) (ს.კ82.17.41.071) სასამართლო პროცესი ჩანიშნულია.

4) 2021 წელს ზედამხედველობის სამსახური აქტიურად იყო ჩართული დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმებაში - საგარანტიო ვადის ფარგლებში.

5) 2021 წელს ზედამხედველობის სამსახურმა covid 19 - ის წინააღმდეგ აქტიური როლი შეასრულა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა მომუშავე ობიექტი იქნა შემოწმებული, შესაბამისი შემოწმების ოქმის შედგენით.

6) 2021 წელს ზედამხედველობის სამსახური რეაგირებდა და იყო კორდინაციაში ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ წერილებზე, რომელიც ეხებოდა ფიზიკური პირების მიერ უკანონო სამშენებლო საქმიანობას.

7) ზედამხედველობის სამსახური ასევე მუშაობს შსს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტის ბაზაში, გამოყენებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების ბაზაში ასახვის მიზნით.

8) ზედამხედველობის სამსახური ასევე რეაგირებს შსს დმანისის რაიონული სამართველოს მიერ შემოსულ წერილებზე.

9) ზედამხედველობის სამსახური ასრულებს eDocument-ში და ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს'' შემოსული წერილების და კანონმდებლობით დადგენილი მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაკისრებულ ფუნქციებს.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

1. შიდა აუდიტორული შემოწმებები

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, წლის განმავლობაში სულ დაგეგმილი იქნა 5 შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში; ფაქტობრივად ჩატარებულია ყველა შიდა აუდიტორული შემოწმება; შესაბამისად, შედგენილი იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშებიუ, რომლებშიც აისახა შიდა აუდიტის ობიექტებში ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, განხორციელდა რისკების შეფასება და გაცემული იქნა რეკომენდაციები ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია წლის განმავლობაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების შესახებ ვადის მითითებით:

- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (მარტი-აპრილი), გაცემული იქნა 4 რეკომენდაცია;
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დმანისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (ივლისი), გაცემული იქნა 5 რეკომენდაცია;
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (ივნისი, აგვისტო), გაცემული იქნა 5 რეკომენდაცია;
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (სექტემბერი-ოქტომბერი), გაცემული იქნა 4 რეკომენდაცია;
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (ნოემბერი-დეკემბერი), გაცემული იქნა 6 რეკომენდაცია.

სულ საანგარიშო წლის განმავლობაში მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად შედგენილი ანგარიშების მიხედვით გაცემულია 30 რეკომენდაცია; შიდა აუდიტის ობიექტებიდან დადგენილი წესის მიხედვით გამოთხოვილი იქნა შიდა აუდიტის მიერ გაცემული (შეთანხმებული) რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმები, რომელთა შესრულების მონიტორინგი განხორციელდება მიმდინარე წელს წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდის დამტკიცებული წლიური გეგმა შესრულებულია სრულად, ანუ დაგეგმილ და ფაქტობრივად განხორციელებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს შორის სხვაობის გარეშე; ამასთან ერთად, წლიურ სამუშაო გეგმაში ცვლილება განხორციელდა ერთხელ - მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მოხდა შიდა აუდიტის ობიექტის შეცვლა.

შიდა აუდიტის ობიექტებში აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.

2. მონიტორინგი

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში 11-ჯერ განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და შეთანხმებულ რეკომენდაციათა სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი; მათ შორის:

- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2016-2017 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ'' ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (იანვარი);
- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ'' ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (იანვარი);
- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მშენებელის'' 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (თებერვალი);
- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის სათნოების სახლის'' 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით შიდა აუდიტორის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (თებერვალი);
- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის'' მიერ 2017 წლის პირველი ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (მარტი);
- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (მარტი);
- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის'' 2017-2018 წ.წ. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (აგვისტო);
- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' 2018 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (აგვისტო);
- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საგანმანათლებლო ცენტრის'' 2018 წლის პირველი ივლისიდან 2020 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (აგვისტო);

- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (აგვისტო);
- ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის'' მიერ 2017 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარების შესახებ'' აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (სექტემბერი).

ინფორმაცია საანგარიშო წელს განხორციელებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესახებ მოცემულია ცხრილში:

ორგანიზაციის დასახელება, სულ გაცემული რეკომენდაციები	რეკომენდაციების რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა	შესრულებული	ნაწილობრივ შესრულებული	შეუსრულებელი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური - 8	8	5	2	1
განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური - 8	8	1	6	1
შპს ,,მშენებელი'' - 7	7	1	1	5
ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი'' - 12	12	5	6	1
ა(ა)იპ ,,დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური'' - 7	7	3	4	0
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - 5	5	1	0	4
ა(ა)იპ ,,დმანისის	13	5	5	3

კულტურისა და ხელოვნების ცენტრი” - 13				
ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი” - 5	5	2	3	0
ა(ა)იპ ,,საგანმანათლებლო ცენტრი” - 5	5	4	1	0
ა(ა)იპ ,,სამუსიკო სკოლა” - 6	6	4	2	0
ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის სამსახური” - 14	14	7	4	3
ს უ ლ:	90	38	34	18
%-ლი მაჩვენებელი	100	42	38	20

3. ინსპექტირება

2021 წელს მოქმედი კანონმდებლობისა და შინაგანაწესის დარღვევის გამო მერიის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის 3 ფაქტზე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა დისციპლინური წარმოება, რის შემდგომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების მოსამსახურის მიმართ შესაძლო გამოყენების თაობაზე შესაბამისი წინადადება წარედგინა მუნიციპალიტეტის მერს.

საანგარიშო წლის განმავლობაში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა მერიის თანამშრომლების მხრიდან ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენა.

საანგარიშო წლის მარტიდან სამსახური ახორციელებს მერიის თანამშრომლების სამსახურში მოსვლა-წასვლის დაფიქსირების ელექტრონული სისტემის მონიტორინგს.

4. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები

შიდა აუდიტის განვითარების მიზნით საანგარიშო წლის განმავლობაში შიდა აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებდა თავის საქმიანობას შიდა აუდიტის

მეთოდოლოგიისა და შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპების „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით; შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა წლის განმავლობაში გაიარეს დისტანციური სწავლება-ტრენინგი შიდა აუდიტის განვითარების თემატიკაზე; სამსახურის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) მიერ ორგანიზებულ ვებინარებში, ონლაინ შეხვედრებსა და ვიდეო-კონფერენციებში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტმა (ჰარმონიზაციის ცენტრი) საანგარიშო წლის ოქტომბერში განახორციელა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება; შემუშავებული იქნა ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მომზადებული შიდა აუდიტის ხარისხის შეფასების ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება მოხდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

გასულ წელს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში განხორციელდა 7 სოციალური პროგრამა:

1. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა;
2. ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა;
3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა;
4. ტრანსპორტით მომსახურების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა;
5. ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა;
6. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა.
7. აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამა.

წლის დასაწყისში ,,დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით“ სარგებლობდა 18 ბენეფიციარი, წლის ბოლოს - 14; ყველა მათგანი სარგებლობდა 100 ლარიანი ყოველთვიური ფულადი დახმარებით; გაიხარჯა - 18 400 ლარი;

,,ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით“ 2021 წელს ისარგებლა 846 - მა ბენეფიარმა; გაიხარჯა - 171 200 ლარი;

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით ისარგებლა 638 ბენეფიციარმა, გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 483 603 ლარი;

,,ტრანსპორტით მომსახურების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით“ სარგებლობდნენ სტუდენტები, ვეტერანები, დიალიზის საჭიროების მქონე პირები.

,,ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით“ ისარგებლა 4 - მა ბენეფიციარმა, თუმცა აღრიცხვაზე იმყოფება 5 ბენეფიციარი. გაიხარჯა - 7 928 ლარი;

,,ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით“ ისარგებლა 170 - მა ბენეფიციარმა.

,, აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2021 წლის მუნიციპალური პროგრამით“ ისარგებლა 4 - მა ბენეფიციარმა.

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში სამსახურმა მიიღო მონაწილეობა და მე- 2 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს (2 ვეტერანი) გადაეცათ საკვები პროდუქტები და ფულადი თანხა 1000 ლარის ოდენობით.

აფხაზეთის ომში მონაწილე 10 შშმ ვეტერანს ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ ფულადი თანხა 200 ლარის ოდენობით 27 სექტემბერს აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით.

სამსახური წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სახის ტრეინინგ კურსებზე, რომელიც ძირითადად ონლაინ მიმდინარეობდა.

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ 1 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი სახლი.

თვეში ერთხელ ხდებოდა მონიტორინგი ,,სათნოების სახლის“, სადაც 50 ბენეფიციარი იღებს ცხელ სადილს ყოველდღიურად.

ასევე მიმდინარეობდა აქტიური მინიტორინგი ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში თვითნებულად შეჭრილი მოსახლეობისა, გვაქვს აღრიცხული ფაქტიურად მცხოვრებთა ბაზა, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური შეღავათებით.

სამსახურში მოქმედებს ორი პროგრამა მუშაობდა - საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა და მოქალაქეთა მომსახურების სისტემა, ორივე პროგრამაში საქმეები სრულდება ვადების მკაცრი დაცვით. წლის ბოლოს გადავედით ახალ სისტემაზე MSDA.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს იგპ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობასთან", სამსახურის უშუალო ჩართულობით, ორგანიზაციამ მერიასთან დადო მემორანდუმი და ახორციელებს პროექტს ,,მხარდაჭერის სახლი", სადაც უკვე ხორციელდება პროექტის 1 მიმართულება შინმოვლის სერვისი (ემსახურებიან 12 ბენეფიციარს) და უახლოეს მომავალში დაიწყება მე - 2 პროგრამა ,, ჯანმრთელი დაბერების სერვისი". ამ ეტაპზე პროექტში 5 ადამიანია დასაქმებული.

ასევე სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც დმანისის მუნიციპალიტეტში ატარებდნენ ტრეინინგებს და ხელს უწყობდნენ სხვადასხვა სახის სოციალური საინფორმაციო პროგრამების განხორციელებას.

სოციალური მიმართულებიდან გამომდინარე სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამინისტროს საინფორმაციო კამპანიის - „ნუ წაართმევ ბავშვობას" ფარგლებში (შეხვედრის გრაფიკი და ორგანიზება მოხდა სოციალური სამსახურის მიერ);

ასევე ორგანიზება გაუკეთა და აქტიურად ჩაერთო სახალხო დამცველის მოადგილის და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრას მერიაში.

სამსახური აწარმოებს ბაზებს გაცემულ დახმარებებზე, რის საშუალებასაც იძლევა მოქალაქეთა მომსახურების სერვისი.

მიმდინარე წელს დავაკმაყოფილეთ 7 პირი, რომლებიც საჭიროებდნენ გადასაადგილებელ ეტლებს. ეტლები მერიას საჩუქრად გადმოსცა საერთაშორისო ორგანიზაციამ ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"

ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

მოგეხსენებათ ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა 2020 წლის სექტემბრის თვეში.

2020 წლიდან დღემდე განყოფილების სოციალურ მუშაკის მიერ, შესწავლილილი იქნა 5 ბავშვიანი ოჯახი:

ერთ ოჯახში 5 წლამდე ბავშვს, რომელიც ჩართული იყო რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ქ. მარნეულში დავაკმაყოფილეთ და ჩავსვით ტრანსპორტირების პროგრამაში.

ერთ ოჯახში, სადაც 7 წლამდე ბავშვს ესაჭიროებოდა ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართვა, რისთვისაც მოხდა ოჯახის შეფასებ. შემდეგ გადავამისამართდა წერილობით სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ქვემო ქართლის რეგიონულ ცენტრში შემდგომი რეაგირებისათვის.

ერთ ოჯახში, სადაც ოჯახის 3 არასრულწლოვანი წევრი არ იყო ჩართული სასწავლო პროცესში ჩართული, მოვახდინეთ ოჯახის და ბავშვების შეფასება. მუშაობაში ჩასევე ჩაერთო განყოფილების მულტიდისციპლინური გუნდი და რამოდენიმე თვიანი ყოველდღიური მუშაობის შედეგად 2 არასრულწლოვანი ჩაერთო სასწავლო პროცესში.

ერთ ოჯახში, რომლის ერთი არასრულწლოვანი წევრი იმყოფება მინდობით აღზრდაში, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოთხოვნილ იქნა ოჯახის პირობების გაუმჯობესება, რათა მოხდეა აღნიშნული ბავშვის ოჯახში რეინტეგრაცია. აღნიშნული გადამისამართებულია მერიის შესაბამის სამსახურში.

ერთ ოჯახში, რომელშიც ცხოვრობს 2 არასრულწლოვანი ბავშვი, ხდება მათი საცხოვრებელი სახლიდან იძულებითი გამოსახლება, მესამე პირად ჩართულია ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. საქმე ამჟამად წარმოების პროცესშია.

გარდა ამისა განყოფილებაში შემოსულია სხვადასხვა (საჯარო ინფორმაცია) საკითხთან დაკავშირებით წერილობითი კორესპონდენცია, რაზედაც გაცემულია შესაბამისი წერილობითი პასუხები.

ერთ ოჯახში, სადაც მოხდა რეინტეგრაცია მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის, ჩართულია ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება ოჯახის გაძლიერების მიზნით.

ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მყოფი ბავშვის, ჩართულია ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება ჩართულია სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მოძიებასა და მიზეზების კვლევაში.

ასევე ხდება განყოფილებაში შემოსული მოქალაქეების საჭიროებების შესწავლა და კონსულტირება სხვადასხვა საკითხებზე.

ასევე ხდება განყოფილებაში სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული კორესპონდენციის მიღება-დამუშავება და პასუხების მომზადება.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N24 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 10207,3 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 8087,3 ათასი ლარი, გრანტები - 130,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1990,0ათასი ლარი .

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცხრაჯერ; აქედან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულების საფუძველზე ექვსჯერ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე ერთხელ და შიდა გადაადგილებით და სხვა შემოსავლების ზრდით ორჯერ,რომლის შემდგომ წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 23032,1ათასი ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 81,3% (გეგმა - 23032,1, ათასი ლარი, ფაქტი -18732,3 ათასი ლარი) ხოლო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 103,4% (გეგმა 18070,1 ათასი ლარი,ფაქტი 18682,6 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 103,5%(გეგმა - 7192,4ათასი ლარი - ფაქტი 7440.5ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 115,1% (გეგმა1400,0ათასი ლარი, ფაქტი 1611,9ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია71,2% (გეგმა - 6297,7 ათასი ლარი, ფაქტი - 4488,4ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 161,7% (გეგმა - 3180,0ათასი ლარი, ფაქტი - 5141,9ათასი ლარი), აქედან ძირითადად შემოსულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 3503,4 ათასი ლარი RMG GOLD-ის მიერ გადახდილი თანხის შედეგად, კომერციული ბანკში განთავსებულ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან 251,9ათასი ლარი. შემოსავალი მიწის იჯარიდან მიღებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმდინარე წლის გადასახადის 100%-ის გადახდით და მომდევნო წლის ბე-ს გადახდის შედეგად,რომლის ოდენობამ შეადგინა 456,4 ათასი ლარი.

-საქონლის მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია -72,7 ათასი ლარი.

-ჯარიმები,სანქციები და საურავები სახით შემოსულია -72,0 ათასი ლარი.

-ტრანსფერები,რომლებიც არ არის კლასიფიცირებული მიღებულია 785,5 ათასი ლარი,მათ შორის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან გადახდილია 247,2 ათასი ლარი,ხოლო წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები ამოღებულია 534,6 ათასი ლარი.

ე)არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 49,7 ათასი ლარი.

ვ)დაგეგმილ ხარჯებში მიმართული იქნა გარდამავალი ნაშთიდან 4962,0 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 68,2% (გეგმა23032,1ათასი ლარი, ფაქტი 15710,9ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 88,7% (გეგმა - 3028,1ათასი ლარი, ფაქტი - 2686,2 ათასი ლარი).

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გადასახდელები 60,3% (გეგმა - 16925,5ათასი ლარი, ფაქტი - 10214,1 ათასი ლარი).მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შესრულებულია 57,3% (გეგმა 15317,8 ათასი ლარი ფაქტი-8770,8 ათასი ლარი),აქედან:

- გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 54,8% (გეგმა 2593,0 ათასი ლარი, ფაქტი 1421,6 ათასი ლარი).

- სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა- რეაბილიტაციაზე 62,9% (გეგმა-3146,3 ათასი ლარი ,ფაქტი - 1977,8 ათასი ლარი).

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 80,4% (გეგმა 266,4 ათასი ლარი, ფაქტი 214,3 ათასი ლარი).

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია 74,7% (გეგმა 3797,3 ათასი ლარი, ფაქტი 2836,3 ათასი ლარი).

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია 39,9% (გეგმა 5197,2 ათასი ლარი, ფაქტი 2073,1 ათასი ლარი).

-დასუფთავება და გარემოს დაცვაზე 91,4% (გეგმა 295,6 ათასი ლარი,ფაქტი 270,1 ათასი ლარი).

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდა 72,2% (გეგმა 1379,8ათასი ლარი,ფაქტი 996,2 ათასი ლარი).

- საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობა 68,7% (გეგმა 602,3 ათასი ლარი,ფაქტი 413,7 ათასი ლარი).

- საგანმანათლებლო ღონისძიებების გადასახდელები 84,1% % (გეგმა 1116,3 ათასი ლარი, ფაქტი 938,9ათასი ლარი).

- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები 93,4%% (გეგმა - 809,6ათასი ლარი, ფაქტი 756,5ათასი ლარი).
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის 96,5% (გეგმა -1077,8ათასი ლარი, ფაქტი 1040,4 ათასი ლარი),მათ შორის სოციალური პროგრამები 96,4% (გეგმა 1023,6 ათასი ლარი, ფაქტი 986,3 ათასი ლარი),ჯანდაცვის პროგრამები 99,8%(გეგმა 54,2ათასი ლარი, ფაქტი 54,1ათასი ლარი).
- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან გამომდინარე:

ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია1653,0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 10,5%შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯების მოცულობამ შეადგინა 2007,5ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 12,8%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე 0,7%, ოფისის ხარჯები - 3,7 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,7%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 4,7%, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები 2%.

გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 2103,9 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 13,4 %-ია.

დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაცემულია 798,6 ათასი ლარი,რაც მთლიანი ხარჯების 5,1%-ია.

ე) სხვა ხარჯების მუხლით გაცემულია - 135,8 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 0,9%-ია.

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 8902,6 ათასი ლარი,რაც მთლიანი ხარჯების 56,8%-ია.

ი) გრანტი გაცემულია 25,0 ათასი ლარი,ანუ მთლიანი ხარჯების 0,2%.

კ)პროცენტის ხარჯები დაფინანსებულია 28,8 ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 0,2%.

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 198019 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლების გარდაცვალების დაკრძალვის მიზნით სარიტუალო ხარჯებისათვის გაცემულია 15350 ლარი(დიდიდმანისშიმ, . ქ.დმანისში,განთიადში,ვარდისუბანში, გუგუთში ,ირგანჩაიში.ორუზმანში,იაღუფლო,

დმანისში,ამამლოში)

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ.მთისძირის ამამლოში და ქდმანისში მცხოვრებლებისათვის თივის დაწვის შედეგად გაწეული იქნა დახმარება ჯამში 5000 ლარის ოდენობით,ხოლო დამხმარე ნაგებობების ხანძრის შედეგად გაიცა 3900 ლარი .(სოფ.მაშავერაში და კიზილაჯლოში).

დიალეზით მოსარგებლე პირების საავადმყოფოში გადაადგილებისათვის ტრანსპორტის ხარჯი 1000 ლარი,ხოლო სამკურნალო ხარჯი 5800 ლარი.

რუსეთ- საქართველოს ომის დროს 9 აპრილს და 8 აგვისტოს დაღუპულთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებით მემორიალის შესამკობად გვირგვინის შესაძენად 210 ლარი და 9 მაისს დღის გამარჯვებასთან დაკავშირებით 2 ომის მონაწილეზე 2000 ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის კვების პროდუქტების შესაძენად გამოყოფილი იქნა 29078 ლარი.

ქ.დმანისში გორგასალის ქუჩა N8-ში მცხოვრებს სოფიკო ავალიანზე გაიცა ერთჯერადად 5000 ლარი სამკურნალოდ და რუბიკ მარტიკიანის სამკურნალოდ 200 ლარი .

სოფ.დიდ დმანისში მცხოვრებზე მაია არძენაძეს შვილის ანასტასია ოგნაძის მკურნალობისათვის ბინის დაქირავებისათვის გაიცა 4000 ლარი.

სპორტული სკოლის აღსაზრდელებისათვის სპორტული კიმანოების შესაძენად გაიცა 10 სპორტსმენზე 12171 ლარი.

ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სკოლამდელი აღზრდის ბავშვებისათვის ენციკლობედიების შესაძენად და გადასაცემად გამოეყო 3191 ლარი.

ქ.დმანისში დასახლების ტერიტორიაზე 2021 წლის 17 მაისს მოვლენების გამო დაზიანებული ავტო მანქანის აღსადგენად ბაგრატ ავალიშვილ გამეყო 500 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი იქნა 750 ლარი.

სოფ.ბოსლებში მცხოვრებლისგან ზვიად ფოლადიშვილისგან მიწის ნაკვეთის შეძენისათვის 2000 ლარის გასაცემად და ნუგზარი იასაღაშვილისაგან მიწის შესყიდვისათვის 10000 ლარი.

სოფელ გომარეთის,სოფელ სარკინეთის და ველისპირის ტერიტორიაზე 2021 წლის 10 აგვისტოს ძლიერი სეტყვის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად მოსახლეობაზე ერთჯერადი სახით გაიცა 53166 ლარი.

რეგიონალური ტურნირის ორგანიზების მომსახურებაზე ააიპ „არტგენი“ გაიცა 30000 ლარი.

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურებაზე გაცემულია ი/მ თეონა მესხიშვილზე 6753 ლარი.

სოფელ საფარლოში მცხოვრებ მაგსად ორუჯოვის ორი სული მსხვილფეხა საქონლის დაცემის გამო 1000 ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქე- ებზე ერთჯერადი სახით გაცემულია 7 პიროვნებაზე 4200 ლარი.

ქ.დმანისის ტერიტორიაზე არსებული ზეხმელი ხეების მოჭრაზე გაცემულია 1250 ლარი.

2021 წლის 10 ნოემბერს ღია სივრცეში დაგეგმილ ანსამბლ „ართვეს“ დამფუძნებლის გია ტატიშვილის საიუბილეო საღამოს ღონისძიების ჩატარებისათვის ანსამბლის ხელმძღვანელს მარიამ ტატიშვილს ერთჯერადი დახმარების გაცემა 1500 ლარი»

დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების და გადასახდელების დეტალური მუხლობრივი განწერა შესაბამისი კოდების მიხედვით იხილეთ თანდართულ შესრულების ფორმებში.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2021 წელს განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ანგარიშს

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა, მიმდინარეობს და ვერ დაკონტრაქტდა 61 სხვადასხვა სახის პროექტი. აქედან:

1. 34 სოფელში (ბაზაქლო, ამამლო, ანგრევანი, მამიშლო, საფარლო, ირგანჩაი, ტნუსი, კიზილქილისა, კაკლიანი (აზერბაიჯანული), ველისპირი, სარკინეთი, გომარეთი, მამულო, ახალი გოდაგდაგი, ძველი გოდაგდაგი, ქვემო კარაბულახი, სოგუთლო, დაგარახლო, იფნარი, კიზილაჯლო, ბახჩალარი, იაღუფლო, პანტიანი, შინდლარი, კამარლო, შახმარლო, დალარი, ქვემო ოროზმანი, ზემო ოროზმანი, გუგუთი, კამიშლო, ლოქჭანდარი, მაშავერა, ბოსლები) განხორციელდა და მიმდინარეობს გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები.
2. 8 სოფელში (პირველი სალამალეიქი, მეორე სალამალეიქი, უსეინქენდი, საჯა, ბახჩალარი, ქარიანი, საკირე, გორა), განხორციელდა და მიმდინარეობს წყლის სისტემის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.
3. 9 სოფელში (ქცია, კაკლიანი (ქართული),ახა, მამიშლარი, ორმაშენი, მთისძირი, ვაკე, უკანგორა, დიდი დმანისი), განხორციელდა და მიმდინარეობს გზის მოხრეშვისა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები.
4. 1 სოფელში, (ვარდისუბანში) მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკვერს.
5. სხვადასხვა 8 პროექტი ვერ დაკონტრაქტდა (განთიადი, ჯავახი, განახლება, პატარა დმანისი, დიდი დმანისი, ტყისპირი, ზემო კარაბულახი), შემსრულებლებისაგან უარის განცხადების გამო.

ჯამში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პოექტების ღირებულება შეადგენს **1 297 757** ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში 2021 წლის განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ.დმანისში შიდა გზების რეაბილიტაცია (9 აპრილის #107 შესახვევის რეაბილიტაცია ; 9 აპრილის #117 შესახვევის რეაბილიტაცია; 9 აპრილის #139-თან ჩიხის რეაბილიტაცია და მიმდებარე 9 აპრილის ქუჩიდან კიუვეიტების მოწყობა ცხაურებით; 26 მაისის ქუჩის სანიაღვრეს მოწყობა; არსაკიძის ქუჩის რეაბილიტაცია; არსაკიძის ჩიხის რეაბილიტაცია; დიდუბის ქუჩის რეაბილიტაცია; ვახტანგ მეფის I ჩიხის რეაბილიტაცია; ვახტანგ მეფის II ჩიხის რეაბილიტაცია; ვახტანგ მეფის III ჩიხის რეაბილიტაცია; რუსთაველის ქუჩის სანიაღვრე-ცხაურის მოწყობა; სვეტიცხოვლის ქუჩის რეაბილიტაცია; სულხან-საბას ქუჩის რეაბილიტაცია; შანიძის ქუჩის რეაბილიტაცია; ცურტაველის ჩიხის რეაბილიტაცია;ცურტაველის ჩიხში სანიაღვრის მოწყობა; ჯავახიშვილის ქუჩის

რეაბილიტაცია;ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია; ქეთევან დედოფლის ქუჩის ნაწილის რეაბილიტაცია ℓ=204.2 m ; წმინდა ნინოს ქუჩის დახურული სანიაღვრე სისტემის მოწყობა)

- სოფ.გომარეთის შიდა გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა),
- სოფელ კიზილქილისის შიდა გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა),
- სოფელ კამარლოს შიდა გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა) ,
- დმანისის მუნიციპალიტეტის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზიდან სოფ კამიშლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა),
- სოფ იფნარიდან სოფ ბახჩალარის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა),
- ზემო ოროზმანის გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა),
- სოფელ შახმარლოში შიდა გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა),
- დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების, საგზაო სარკეების, ჰორიზონტალური მონიშვნის საღებავით და რკინის პარაპეტების მოწყობა, საგზაო ციმციმა და ბეტონის პარაპეტების მოწყობა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ლოქჭანდარში რიტუალების სახლის სამშენებლო სამუშოები (დაიწყო 2020 წელს და დამთავრდა 2021 წელს)
- სოფ. გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია (დაიწყო 2020 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში ჭაბურღილის, მაგისტრალური მილსადენისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები (დაიწყო 2020 წელს და დამთავრდა 2021 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამულოში ჭაბურღილის, რკ/ბეტონის რეზერვუარისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოებისა და სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები (დაიწყო 2020 წელს და დამთავრდა 2021 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (დაიწყო 2020 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. გომარეთის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობა (დაიწყო 2020 წელს და დამთავრდა 2021 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. მაშავერის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობა (დაიწყო 2020 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2021 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისძირში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს რეაბილიტაცია; (დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ დაგარახლოში ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ განახლებაში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)

- სოფელ განთიადში, სოფელ ჯავახის ჩასახვევში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ განთიადში, საბავშვო ბაღთან, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ ველისპირში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ ვარდისუბანში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ მამულოში ცენტრალურ გზაზე მოსცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ სარკინეთში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; (დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- ქ. დმანისში, ბატონიშვილის და აღმაშენებლის კვეთაზე, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა;(დაიწყო 2021 წელს და ხელშეკრულება შეწყდა შემსრულებლის მხრიდან არა კეთილ სინდისიერი საქმის გამო 2022 წელს)
- სოფელ ქციის ცენტრში სკვერის მოწყობა.
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოს წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- სოფელ ირგანჩაის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- 26 მაისის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- ქ.დმანისში გორგასლის ქუჩა N1 ის მიმდებარედ სკვერის მოწყობ (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- სოფ.ზემო კარაბულახის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- სოფ.ამამლოს სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- სოფელ ირგანჩაის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- ქ.დმანისი ჭუბერის III ჩიხი, N4ა სკვერის და სტადიონის რეაბილიტაცია (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- სოფ. ბოსლების გარე განათება
- სოფ. ველისპირში გარე განათება

ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში ზემოდ აღნიშნული განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პოექტების ჯამური თანხა შეადგენს **4 617 111**

რეგ. ფონდი

რეგ.ფონდის ფარგლებში 2021 წელს დმანისი მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრატრუქტურული პროექტები:

- დმანისისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ.ვარდისუბნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცა (დასრულებულია)
- დმანისისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (დასრულებულია)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთში, არსებული საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- ქ. დმანისში, ვაჟა-ფშაველას ქ. #19, #3 არსებული საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია. (შენიშვნა: 2021 წლის ბიუჯეტით ანაზღაურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 387 992 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი ანაზღაურდება 2022 წელს) (დაიწყო 2021 წელს და მიმდინარეობს 2022 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. გოდაგდაგის რეზერვუარისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები (დაიწყო 2021 წელს და დასრულდა 2022 წელს)
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო კარაბულახში რეზერვუარისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები (დაიწყო 2021 წელს და დასრულდა 2022 წელს)

რეგ. ფონდის ფარგლებში განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების ჯამური თანხა შეადგენს **3 189 863 ლარს**

2021 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვები

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება - 23

I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვა გაიცა - 22

II- კლასის შენობა ნაგებობების მშენებლობის ნებართვა გაიცა - 12

III - კლასის შენობა ნაგებობების მშენებლობის ნებართვა გაიცა - 2

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება - 2

2021 წელს საერთო ჯამში გაიცა 59 ნებართვა და 2 მშენებლობის ვადის გაგრძელება